



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი
აღარა
№2 (450)
(5779)
2019

“הנורה”
עיתון יהודי
בגור

ქნესეთი 70 წლისაა

21 იანვარს ისრაელის ქნესეთმა თავისი არსებობის 70-ე წლისთავი მთელი რიგი ღონისძიებებით აღნიშნა. თუ ბი შვათის დღესასწაულზე (ქნესეთის პირველი სხდომა სწორედ 1949 წ. თუ ბი შვათის დღესასწაულზე გაიმართა) 21 იანვარს ქნესეთში მივიდა 2000 ჯარისკაცი, მოსწავლე, მოხუცი, თუ ახალგაზრდა და დარგო მარწყვის 740 ნერგი. ქნესეთის სპიკერმა იული ედელშტეინმა თქვა:

— იმედი მაქვს, ქნესეთის კანონმდებლობა ნაყოფი ისეთივე გემრიელი იქნება, როგორც მარწყვისა გახლავთ.

პარლამენტის სპიკერმა ისრაელის აშქენაზთა მთავარ რაბინთან დავით ლაუსთან ერთად ქნესეთის კარს მიამაგრა ისტორიული მეზუზა, რომელიც 1949-1966 წლებში, ვიდრე დეპუტატები ე.წ. „ფრუმინის სახლში“ მუშაობდნენ, იფარავდა ქნესეთს და საკანონმდებლო ორგანოს ამჟამინდელ — ახალ შენობაში გადასვლისას, დაიკარგა. ახლა კი ნაპოვნო იქნა.

მეზუზის მიმაგრების შემდეგ, ქნესეთის სინაგოგაში აღვლენილი იქნა თუ ბი შვათისა და ქნესეთის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ლოცვა.

ქნესეთის დერეფნები, სამუშაო ოთახები ყვავილების გირლიანდებით გახლდათ დამშვენებული, ყველგან იყო ხილით სავსე კალათები, ყოველ კუთხეში გაისმოდა სიმღერა და მუსიკის ხმა, თამაშობდნენ ბავშვები, მათ უამბობდნენ ქნესეთის ისტორიას ატარებდნენ შენობაში, გაიმართა პერფორმანსი „დილოგი სიბნელებში“ ასევე გაიმართა ხეებისა და მარწყვის ნერგების საზეიმო რგვა.



რამდენი ადამიანი არ შეუშვეს ისრაელში?

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ათჯერ გაიზარდა აღმოსავლეთ ევროპის იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებსაც ისრაელმა სახელმწიფოში შესვლის უფლება არ მისცა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოებთან უვიზო ურთიერთობის რეჟიმი კარგა ხანია ამოქმედდა, გასულ, 2018 წელს ისრაელის მესაზღვრეებმა რუსეთის, უკრაინის, მოლდოვას, საქართველოსა და ბელორუსიის 17 000 მოქალაქეს უთხრეს უარი სახელმწიფოს საზღვრის გადალახვაზე. და ეს მაშინ როცა 2013 წელს სულ რაღაც 1581 ადამიანი გააბრუნეს უკან. ამის უმთავრესი მიზეზი გახლავთ იმის შიში, რომ უცხოელები ნებადართული სამთვინი ვადის ამოწურვის შემდეგ ისრაელს არ დატოვებენ.

ისრაელში თავშესაფარს უმთავრესად რუსეთის მოქალაქეები ითხოვენ. ამ მხრივ გასული 2018 წელი რეკორდული გახლდათ — ისრაელში თავშესაფარი მოითხოვა რუსეთის ფედერაციის 2700 მოქალაქე. ამის მიზეზი რუსეთში ცუდი ეკონომიკური პირობებია, ხოლო უკრაინისა და საქართველოს მოქალაქეთა მომართვიანობა თავშესაფრის მინიჭების თაობაზე, მკვეთრად შემცირდა. 2017 წ. ისრაელის საემიგრაციო ორგანომ შემოიღო ამ ქვეყნების მოქალაქეთა თხოვნის დაჩქარებული წესით განხილვა, რამაც შესაძლებელი გახადა მათი დაუყოვნებლივი უკან გაბრუნება.

ებრაელი დეპუტატი — ბრაზილიის სენატის მეთაური

The Times of Israel იტყობინება, რომ ბრაზილიის პროისრაელური მიმართულების პრეზიდენტის მოკავშირე — დეპუტატი დევი ალკოლუმბრე ამ სახელმწიფოს სენატის თავჯდომარე გახდა.



41 წლის დევი ალკოლუმბრე ბრაზილიის ყველაზე ჩრდილოეთ ნაწილში — ამალას შტატში დაიბადა. უკვე 18 წელია პოლიტიკურ ცხოვრებას ეწევა. სენატის წევრთა უმრავლესობამ, რომელთა შორის პრეზიდენტის ვაჟიშვილი გახლდათ, ერთხმად დაუჭირა მხარი ებრაელი დეპუტატის კანდიდატურას.

ტრამპის სამშვიდობო გეგმა — სამშვიდობოა?

ისრაელის ტელევიზიის მე-13 არხის ერთობ ინფორმირებულმა დიპლომატიურმა მიმომხილველმა ბარაქ რაიდიმ გამოაქვეყნა აშშ პრეზიდენტის — დონალდ ტრამპის ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების ზოგიერთი დატალი. აშშ პრეზიდენტი ამ გეგმის გასაჯაროებას ისრაელში საპარლამენტო არჩევნების დამთავრების შემდეგ გეგმავს.



ტრამპის გეგმის მიხედვით, პალესტინის სახელმწიფო უნდა შეიქმნას დასავლეთის სანაპიროს ტერიტორიის 90% მონაკვეთზე. ეს კი ორჯერ მეტი ტერიტორიაა, ვიდრე დღევანდელი და ზონები. ტრამპის გეგმა აღმოსავლეთ იერუსალიმის პალესტინის დედაქალაქად გამოცხადებასაც ითვალისწინებს.

როგორც წერენ, ეს ინფორმაცია, რომელიც ისრაელის დღევანდელ მემარჯვენე ხელისუფლებას არ მოსწონს, რაიდიმ მიიღო არა ისრაელის სახელისუფლებო წრეებიდან, არამედ იმ უცხოელი პოლიტიკოსისაგან, რომელიც ტრამპის დახურულ ბრიფინგს ესწრებოდა. ტრამპის გასაჯაროებული გეგმის მიხედვით, ნათელი ხდება, ნეთანიაჰუს, თუ რატომ სწადია ეს გეგმა არჩევნების შემდეგ გამოქვეყნდეს და არა არჩევნების წინ.

ანტისემიტური მკვლევლობები 2018 წელს

ისრაელის დიასპორის სამინისტრომ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ებრაელების — კატასტროფის დღესთან დაკავშირებით, გამოაქვეყნა ანგარიში, იმისა 2018 წელს მსოფლიოში თუ როგორი იყო ანტისემიტურობის დონე. ამ ანგარიშის მიხედვით, 2018 წ. მსოფლიოში ანტისემიტური ზრახვით მოკლული იქნა 13 ებრაელი. ამათგან 11 ებრაელი დაიღუპა აშშ ქალაქ პიტსბურგის სინაგოგაში შეჭრილი ნაცისტისა და ანტისემიტის რობერტ ბაუერსის მიერ ატეხილი სროლის შედეგად. მას მიესაჯა სამუდამო პატიმრობა და მასზე არ გავრცელდება არცერთი ამინისტია.

ანტისემიტურმა გამოხდომებმს პიკს მიაღწია 2018 წლის მაისში, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისრაელში თავისი საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანა. სამინისტროს ანგარიშის თანახმად, დიასპორის ებრაელების 89% მიიჩნევს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათს სახელმწიფოებში ანტისემიტურობის მნიშვნელოვნად გაიზარდა, 38% კი სხვა ქვეყანაში გადასვლაზე, ან ისრაელში რეპატრიაციაზე ფიქრობს.

დიასპორის მინისტრმა ნაფტალი ბენეტმა, რომელმაც ეს ანგარიში მთავრობას წარუდგინა, ისიც დასძინა, რომ ანტისემიტურ შემთხვევათა 80 % არც ფიქსირდება.

WE REMEMBER — ჩვენ გვახსოვს!



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადწყვეტილებით, 27 იანვარი მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ექვსი მილიონი ებრაელის ხსოვნის დღეა. სწორედ 27 იანვარი იქნა მიჩნეული მიჯნად ევროპის ებრაელობის ტრაგიკული ისტორიისა — 1945 წლის 27 იანვარს საბჭოთა არმიამ, ძლევამოსილად უტევედა რა ფაშისტურ გერმანიას და ანთავისუფლებდა ნაცისტების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს, აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის დაგმანული კარი გახსნა და ფაშისტთა ტყვეებს თავისუფლება მიუტანა. უკან დარჩა სიკვდილის ყოველწამიერი შიში...

და დარჩა ხსოვნა ექვსი მილიონი ებრაელი ქალისა თუ ბავშვისა, ახალშობილი, თუ მოხუცი ევროპელი ებრაელისა, რომლებიც ფაშისტებმა 1933-1945 წლებში გაანადგურეს, მაგრამ საბოლოო მიზანს ვერ მიაღწიეს, ოცნება ვერ შეისრულეს — მათ ხომ ვენზაის კინდერენციზე ებრაელი ერის მთლიანად განადგურება დაადგინეს და დადგენილების შესრულებაც დაიწყეს.

27 იანვარი — ებრაელთა ტრაგიზმისა და გმირობის (სწორედ რომ გმირობისა, რადგან ისტორიას შემორჩა ფაშისტთან ებრაელი ერის მამაცური ბრძოლები) დღე მსოფლიოს ბევრ ქალაქში აღინიშნა — ყველგან პატივის მიაგებდნენ მეორე მსოფლიო ომის წლებში დაღუპული ებრაელობის ხსოვნას.

ეს დღე ღირსეულად აღინიშნა თბილისშიც — ქალაქის ებრაულ სათემო სახლში შეიკრიბნენ ებრაული თემის წარმომადგენლები. როგორც ჩანს, „ჯოინთის“ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდმა (დირექტორი ელ.

ბერკოვიჩი) დროულად იზრუნა საიმისოდ, რომ ეს დღე, შესაბამის დონეზე აღნიშნულიყო. აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან გარემოებას — იმ დღეს მთავარ სიტყვას ახალგაზრდები ამბობდნენ — ახალგაზრდული ორგანიზაცია „ჰილელის“ წევრებმა და კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის თანამშრომლებმა იდეს თავს ხსოვნის საღამოს პროგრამის შედგენაცა და განხორციელებაც, თემის უფროსი ასაკის წარმომადგენლები კი მსმენელად გვევლინებოდნენ. ეს ძალიან კარგია და კიდევ ერთხელ გვიდასტურებს თუ როდენ მნიშვნელოვანია თაობათა მემკვიდრეობითობა. ხვალ-ზეგ სწორედ ამ თაობამ უნდა ზიდოს ტრაგიკული წარსულის სიმწარეც და გამარჯვების სიხარულიც და ასევე გადასცეს მომდევნო თაობას: „ჰილელის“ წევრებმა მიხეილ შაველაშვილმა, ქეთევან ჩიკვილაძემ, ნინო ალიმბარაშვილმა, ანი მელაძემ შეკრებილთ ხატოვანად უამბეს ადოლფ ჰიტლერის გერმანიის სათავეში მოსვლის დღიდან, თუ რა ჯოჯოხეთური ყოფა დაუდგა ევროპის ებრაელობას, შემდგომ მსმენელთ რამდენიმე დამატებითი ინფორმაცია მიანოდა მწერალმა და დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა.

ამ, კატასტროფისა და გმირობის, დღესთან დაკავშირებით მსოფლიოს ებრაელთა კონგრესმა ერთობ ამაღელვებელი დოკუმენტური ფილმი გამოგზავნა — „ჩემს ბიოგრაფიას ვინ დანერს?“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში პოლონეთის ებრაელობის ანტიფაშისტურ მოძრაობასა და ტრაგიკულ ბედზე გვიამბობს — ამ ქვეყნის სამი მილიონი ებრაელიდან ხომ მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანი დარჩა ცოცხალი.



„პოლონოსტის ენციკლოპედია:

მეორე მსოფლიო ომის წლებში სად, რომელ ქვეყანაში რამდენი ებრაელი დაიღუპა:

- პოლონეთი — სამ მილიონამდე,
- საბჭოთა კავშირი — 1 მილიონ 200 ათასი,
- ლიტვა — 140 ათასი,
- ლატვია — 70 ათასი,
- უნგრეთი — 560 ათასი,
- რუმინეთი — 280 ათასი,
- გერმანია — 140 ათასი,
- ჰოლანდია — 100 ათასი,
- საფრანგეთი — 80 ათასი,
- ჩეხეთი — 80 ათასი,
- სლოვაკეთი — 70 ათასი,
- საბერძნეთი — 65 ათასი,
- იუგოსლავია — 60 ათასი,
- ბელორუსია — 800 ათასი,

ფიქრი წარსულისა და მომავალზე

ედუარდ შევარდნაძე

25 იანვარი ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეა — წელს იგი 91 წლის გახდებოდა. სწორედ ამ დღეს დაუკავშირდა მისი ხსოვნის საღამო — ფოტოგამოფენა „რკინის ფარდიდან აბრეშუმის გზამდე“, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე, 1991-92 წლებში სამოქალაქო ომის დღეებში დამწვარი „მხატვრის სახლის“ სანაცვლოდ ააშენეს ედუარდ შევარდნაძის ქალიშვილმა მანანა შევარდნაძემ და სიძემ — ბიზნესმენმა და ფილანატროპმა გია ჯობთაბერიძემ. დღეს ამ დიდებულ ნაგებობაში ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი. ამ საღამოზე ედუარდ შევარდნაძესთან მუშაობის, ურთიერთობის თაობაზე ისაუბრეს ბატონებმა ვაჟა ლორთქიფანიძემ და გელა ჩარკვიანმა. საღამოზე მისულ სტუმრებს საჩუქრად გადასცეს ედუარდ შევარდნაძის წიგნის „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ მეორე — შევსებული გამოცემა.

მკითხველს ვთავაზობთ ერთ თავს ამ წიგნიდან „ებრაელთა ისრაელში ასვლისათვის ხელშეწყობა“.



საბჭოთა საქართველოს პირველ პირად ყოფნის დროს მომიხდა ისეთი, იმ დროისათვის რთულ პრობლემასთან შეჯახება, როგორც ებრაელთა ისრაელში „ასვლა“ იყო. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა მაშინ ყველაფერს აკეთებდა, რათა ხელი შეეშალათ ებრაელთათვის მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მათი ყოფნა ტრადიციულად გულზე არ ეხატებოდა.

სხვათა შორის, ამით საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა აკეთებდა იმას, რასაც თავის დროზე აკეთებდა, გაერთიანებული სამეფო, როდესაც პალესტინის სანაპიროსთან მიმდგარ გემებს უკან აბრუნებდა და რეპატრიანტებს ნაპირზე გადასვლის უფლებას არ აძლევდა. ამ გაუგონარ სისასტიკეზე, სხვათა შორის, შთაბეჭდილებად ყველა გოლდა მეირი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი ცხოვრება“

მე მაშინ ჩვიდმეტი* ებრაელის სამშობლოში გამგზავრებას შევუწყე ხელი. ეს იყო საბჭოთა კავშირიდან ისრაელში „ასვლის“ დასაწყისი და მე ვამაყობ ამით, რადგან გავაგრძელებ ებრაელებთან ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის ტრადიციას და მცირედით მაინც დავეხმარე ისტორიულად მეტად მნიშვნელოვანი პროცესის დაწყებას.

გავა წლები და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ბარაკი თავად მიმანიშნებს: „ჩვენ მუდამ გვემასხვრება, რომ თქვენ ითამაშეთ ცენტრალური როლი ყოფილი საბჭოთა კავშირის კარის გაღებაში და ებრაელებს მიეცით ისრაელში ამოსვლის საშუალება“. უფრო ადრე ამავეს ხაზი გაუსვა ჯორჯ შულცმა, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა: „ედუარდ შევარდნაძემ უფრო მეტად ვიდრე სხვამ, ხელი შეუწყო საბჭოთა ებრაელების გამგზავრებას მათ ისტორიულ სამშობლოში“. მეტიც, საბ-

ჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნვიდან მეორე წელს, შიმონ პერესთან შეხვედრის შემდეგ, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით მოსკოვში გაიხსნა ისრაელის საკონსულო, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „ასვლის“ პროცესს.

გული მტკიოდა, რომ ებრაელები საქართველოდან მიდიოდნენ. ბოლოს და ბოლოს, აქ ხომ

ოცდაექვსი საუკუნის წინათ ჩამოსახლდნენ და მათთვის უკუღმართი სიტყვა არავის უკადრებია. ისინიც, როგორც ერთგული მოქალაქენი, პირნათელი იყვნენ საქართველოს წინაშე, მაგრამ მათ თავიანთი ქვეყანა ეძახდა, საიდანაც ისინი საუკუნეების წინ გამოიშვეს და მათ ლტოლვას სამშობლოსაკენ ვერაფერი დააკავებდა.

ტირილით ტოვებდნენ ებრაელები საქართველოს, მეორე სამშობლოს, სადაც რჩებოდნენ მათი მეგობრები, ქართველები, რჩებოდა მათი სახლკარი, წინაპრების საფლავები, მაგრამ მინის ძახილს ვერაფერი შეაჩერებს... სხვათა შორის, ახლაც კი, ამდენი წლის მერე, ებრაელთა საფლავები მოვილილია — სახლები ხელუხლებელი. მოსახლეობა უფრთხილდება მათ, როგორც ძმების მოსაგონარს. ვფიქრობ, ეს ბევრს მეტყველებს ჩემი ხალხის ხასიათზე.

მოხდა ისე, რომ ისრაელის სახელმწიფო ოფიციალური ვიზიტით, მხოლოდ 1995 წელს მოვიწახლეთე. მაშინ პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი იყო, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი — შიმონ პერესი, რომელთანაც უკვე რამდენიმეჯერ ვიყავი შენახვედრი. შედგა გულთბილი შეხვედრები. ეს ის დროა, როცა ისრაელის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც გარკვეულ დათმობას ითვალისწინებდა პალესტინელთა მიმართ, სამაგიეროდ, თავისი ქვეყნისთვის მშვიდობის გარანტიას იღებდნენ. იცხაკ რაბინმა მასთან შეხვედრი-

სას განმიცხადა, რომ ისრაელისთვის ეს გადაწყვეტილება მტკივნეულია, მაგრამ არც ომის უსასრულოდ გაგრძელებას აქვს აზრი. ამ ვიზიტის დროს არაერთი შეხვედრა მქონდა ამ ქვეყნის მოქალაქეებთან, მათ შორის, საქართველოდან და რუსეთიდან ჩამოსულებთან. ამ შეხვედრებმა დამარწმუნეს იმაში, რომ რაბინის შემოფოტება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, დასაღუპავად განწირული მოღვაწის წინათგმობას წარმოადგენდა.

ყველაზე შთაბეჭდილი იყო ჩემი ვიზიტი აშქელონში. სადაც ქართველ ებრაელთა ძირითადი ნაწილი ცხოვრობდა, რაც დიდი ხნის უნახავი სისხლით ნათესავი ადამიანების შეხვედრას მოგაგონებდა.

გაუთავებელი ტანის გრიალი, მისალმებები, შეძახილები და ბოლოს, შეხვედრის დამთავრების შემდეგ, აშქელონელებმა ხელში ამიტაცეს — კარგა დიდ მანძილზე ასე მატარეს. შემდეგ უკვე — 1999 წლის თებერვალში საქართველოში ჩამოვიდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, რომელსაც თან ახლდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი არიელ შარონი. მის მშობლებს თბილისში უცხოვრიათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდნენ და აქვე დაქორწინდნენ. შარონის ბებია თბილისის ებრაელთა სასაფლაოზე განისვენებს. მან პატივი მიაგო ბების ხსოვნას და ისიც ნახა, თუ როგორაა ეს სასაფლაო მოვლილი.

ებრაულ-ქართულ უნიკალურ ურთიერთობათა ისტორია არ იცნობს ანტისემიტიზმს, დარბევას, რასაც მსოფლიო მრავალ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი. პირიქით, საქართველოში საუკუნეთა მანძილზე ეს ურთიერთობა ეფუძნებოდა და ეფუძნება ჰუმანიზმის, კულტურათა დიალოგის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეალებს და ჩვენ მართლაც, გვაქვს საამაყო.

ჩვენ დავამტკიცეთ, რომ 26 საუკუნის მანძილზე ასეთი რამ შესაძლებელი ყოფილა! ეს კაცობრიობის ისტორიაში ერთა თანაცხოვრების

ერთ-ერთი უნიკალური მოვლენაა და ვფიქრობ, მისი ფართო და ღრმა მეცნიერული კვლევა ბევრს შესძენს არა მარტო საქართველოს და ისრაელის ისტორიას, არამედ მსოფლიო ისტორიასაც.

სინას წმინდა მთასთან ქართველებს გვაკავშირებს არა მხოლოდ თორა და ძველი აღთქმა, არამედ ქართველთა დიდი სასულიერო და სამეცნიერო მოღვაწეობაც. საუკუნეების წინ სინას მთაზე ნათარგმნი, თუ გადანერვილი რელიგიური ქართული ხელნაწერები ცნობილია მსოფლიო სამეცნიერო წრეებში.

ისრაელში, პალესტინაში (იმ მხარეს დღეს ლაზას სექტორი ეწოდება), მე-5 საუკუნეში მოღვაწეობდნენ უდიდესი ქართველი ფილოსოფოსი, არეოპაგეტიკის მამა პეტრე იბერი და მისი ქართველი მოძღვარი იოანე ლაზი. იერუსალიმში იყო და არის ქართველთა ორი ისტორიული მონასტერი: ჯვრის მონასტერი, რომელშიც აღმოსავლური რენესანსის ქართველი გენია, შოთა რუსთაველი იყო ბერად შემდგარი და სადაც მისი ფრესკაა დაცული, და — ლაზთა მონასტერი, რომელიც იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯინიო კორბომ აღმოაჩინა.

ისიც სიმბოლურია, რომ ქართველი მეფეები, ბაგრატიონები, ქრისტეს ნათესავებად თვლიდნენ თავს. წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს დამაარსებელი, მახვილი მესიისა, დავით აღმაშენებელი და მისი შთამომავალი, მეფე ლაშაგიორგი, ქრისტეს საფლავის დასაცავად იღწვოდნენ ჯვაროსნული ომების დროს.

ასე რომ, ჩემი მიმართება ებრაულ საკითხთან მხოლოდ პიროვნული პრობლემა არ გახლავთ, იგი განპირობებული იყო ქართულ-ებრაული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიით ჩვენი წინაპრების ნებით, ჩემი ეროვნული მენტალიტეტით და აღზრდით.

1998 წელს ჩვენ საზეიმოდ და საერთაშორისო მასშტაბით გადავიხადეთ ქართველთა და ებრაელთა მეგობრობისა და თანაცხოვრების, 26 საუკუნის იუბილე.

*აქ უნდა იყოს თვრამეტი. ავტორს მხედველობაში ჰყავს 18 ქართველი ებრაელი გაეროში გაგზავნილი ნერილის ავტორები, რაც ბ-ნმა ედ. შევარდნაძემ დოკუმენტური ფილმის „იმ იშკახებ იერუსალიმის“ მის რეზიდენციაში გადაღებისას დაგვიდასტურა (რედ).

გაზეთ „მენორას“ რედაქციას

ამას წინათ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იუდაიკის კაბინეტისა და საქართველოში ისრაელის საელჩოს ერთობლივი და-

ალიზმულ კონტექსტში გთავაზობთ მამაჩემის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, დავით ბუზუკაშვილის სამეცნიერო ნარკვევს ამ ორი

ნაშრომი კვლავაც აქტუალურია განსხვავებული თვალსაზრისით, აკადემიური კვლევით, საინტერესო ფაქტების შეჯერებით, ლოგიკური აზროვნებით,

პატივისცემით, მარინა ბუზუკაშვილი

... აქვს ღმერთი ისრაელთა

რაკი საქართველოში ებრაელთა მკვიდრობის 26-საუკუნოვანი იუბილე შთაბეჭედავად აღინიშნება, ფაქტობრივად, საქვეყნოდ ვალიარებთ, რომ ქართულ-ებრაული ურთიერთობა სათავეს საქართველოში ებრაელთა დამკვიდრებიდან იღებს. ამ ურთიერთობის ერთობ სოლიდური სტაჟი კი ოც-

განვადგომო სათქმელს: 1904 წელს თბილისში დასტამბულ წიგნში „ქართველი ებრაელი საქართველოში“ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწიგნობარი, ზაქარია ჭიჭინაძე, „ქართლის ცხოვრების“ ზემოაღნიშნული

თუკი ისტორიული წყაროს გადამოწმებით დავინტერესდებით, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მე-7 ტომი ნაბუქოდონოსორის შესახებ გვაუწყებს: „ახალბაბილონური სამეფოს ქალდეური დინასტიის მეორე მეფე (ძვ. წ. 604-562 წ.წ.). ძვ. წ. 586 წ. ხანგრძლივი ალყის შემდეგ ხელმეორედ დაიმორჩილა და დაანგრია იერუსალიმი, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ბაბილონში გადაასახლა“ (გვ. 282).

მართლაც, ელემენტარული არითმეტიკით, ძველი წელთაღრიცხვის 586 წელს ახალი წელთაღრიცხვის 1998 წელი (26-საუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნის წელი) რომ მივუმატოთ, 2584 წელს უდრის. სწორედ, ზემოაღნიშნული ისტორიული წყაროებია მიჩნეული საქართველოში ებრაელთა ოცდაექვს-საუკუნოვანი მკვიდრობის, მათი დასახლების კონკრეტული ადგილისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა დასაბამის ოფიციალურ დასტურად.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ცნობების გარდა, არსებობს სხვა წყაროებიც როგორც დამკვიდრების თარიღის, ისე დამკვიდრების ადგილის და, საერთოდ, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა დასაბამის თაობაზე. შევეცდები სამივე საკითხზე ცალ-ცალკე შევჩერდე.

დამკვიდრების თარიღის შესახებ


ამ ათიოდე წლის წინათ, 1989 წლის სექტემბერში გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ (პირველი კატეგორიის გაზეთებისთვის იმ უძრაობის დროს ებრაული თემატიკა სასურველი ვერ იქნებოდა) დაისტამბა ჩემი წერილი „28-ე საუკუნეს მიითვლის“. პუბლიკაციის საფუძვლად 1864 წლის „კავკასიური კალენდრის“ («Кавказский календарь») ერთი პასაჟი იქცა. კერძოდ, 139-ე გვერდზე კავკასიისა და ამიერკავკასიის მნიშვნელოვან მოვლენათა ქრონოლოგიურ ჩამონათვალში, რომელიც იწყება ძვ. წ. 2500 წელს მომხდარი ნარღვნიტა და ნოეს კიდობნის არარატის მთაზე გაჩერებით, მივაკვლიე მეტად საგაულისხმო ცნობას, რომ „დატყვევებულ ებრაელთა ერთი ჯგუფი დასახლებულ იქნა ანინდელ გურიასა და ლაზისტანში ძველი წელთაღრიცხვის 720 წელს“ (ხაზი ჩემია – დ.ბ.)¹.

აღნიშნული წყაროს თანახმად, ძველი წელთაღრიცხვის 720 წელს ახალი წელთაღრიცხვის 1998 წელი რომ მივუმატოთ, 2718 წელს უდრის. ამდენად, ამ მარტივი არითმეტიკული შეჯამებით, ჩვენში ებრაელთა მკვიდრობის სტაჟი 28-ე საუკუნეს მიითვლის.

ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დარბევამდე საქართველოში ებრაელთა დასახლების თაობაზე მოსაზრებას გამოთქვამს აგრეთვე ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი. სანკტ-პეტერბურგში 1843 წელს გამოცემული მისი წიგნის „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორიის“ მე-6 გვერდის მე-9 სტროფიში იგი აღნიშნავს: «Евреи, по свидетельству грузинских и армянских историков, были поселены в Грузию прежде Навуходносора» (ხაზი ჩემია – დ.ბ.). აღსანიშნავია, რომ პლატონ იოსელიანი იქვე მუხუთებ-მეექვსე საუკუნეების ცნობილ სომეხ ისტორიკოსს, მოსე ხორენელს (მოვსეს ხორენაცს, იგივე ხორენსკის – დ.ბ.) იმონებებს.

დამკვიდრების ადგილის თაობაზე

გარდა ზემოაღნიშნული „კავკასიური კალენდრისა“, რომელიც იწყება, რომ დატყვევებულ ებრაელთა ერთი ჯგუფი დასახლებულ იქნა ანინდელ



გურიასა და ლაზისტანში (ანუ კოლხეთში, ხაზი ჩემია – დ.ბ.), ებრაელთა დასახლების ადგილის „ქართლის ცხოვრებისეული“ ვერსიისაგან (მცხეთის რეგიონი) განსხვავებული მოსაზრებები ქართველ სწავლულთა შორისაც გამოითქმებოდა.

ცნობილი სასულიერო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი), გამოჩენილ სწავლულთა და საეკლესიო მოღვაწეთა ნააზრების საფუძველზე ასკვნის, რომ ებრაელები საქართველოში პირველად მცხეთაში კი არა, შავი ზღვისპირეთის სამხრეთით — მდინარე ჭოროხის მიდამოებში დასახლდნენ.

გიორგი საძაგლიშვილის ერთობ ვრცელ სათაურიანი ნაშრომი „იუდეველები ძველ ივერიაში, მესიის საყოველთაო მოლოდინი, განთესილ იუდეველთა გავლენა ჩვენს წარმართ წინაპართა რელიგიურ რწმენაზე და მათ მიერ ღვთის კვართის ჩამოტანა მცხეთაში“ დაბეჭდილია რუსულენოვან ჟურნალ „Пастырь“-ის („მწყემსი“-ს) 1883 წლის 1-2-3 ნომრებში. ავტორის მოსაზრებათაგან ჩვენთვის საგულსხმო კონტექსტში იმანდობლივია შემდეგი: „Если к сказанному присовокупить свидетельство историка Абидена, сохранное и переданное нам церковным историком 4-го века Евсевием... о поселении пленных иудеев на правой стороне Понта Евкийского (შავი ზღვა – დ.ბ.), то едва ли можно будет сомневаться в присутствии значительного еврейского элемента в западной Иверии еще за несколько столетий до Рождества Христова (ხაზი ჩემია – დ.ბ.).

Из западной Иверии сыны Израиля, нужно полагать, скоро рассеялись по всей Грузии“ («Пастырь», 1883 წ., №1, გვ. 6. ცნობისათვის: რელიგიური ჟურნალი „მწყემსი“ ქართულ და რუსულ ენებზე გამოდიოდა გასული საუკუნის 80-იან წლებში ანინდელ ზესტაფონში – დ.ბ.).

ქართულ – ებრაულ ურთიერთობათა დასაბამი

ჩემს ადრინდელ (1989 წ.) პუბლიკაციაში ”28-ე საუკუნეს მიითვლის“ ყურადღება მივაქციე ”ქართლის ცხოვრებისავე“ ერთ ფრაგმენტს, რომლის ავტორიც იგივე ლეონტი მროველი გახლავთ: ”შემდგომად ამისასა რაოდენთამე წელიწადთა მოვიდა ჰამბავი ვითარმედ მოსე განვლო ზღვა ისრაელთა (მეწამული ზღვა – დ.ბ.) და იზრდებთან იგინი უდაბნოსა მანანათა. განკვირდეს ყოველნი და მათ ყოველთა წარმართთა (ანუ ყოველთა ქართველთა – დ.ბ.) აქეს ღმერთი ისრაელთა“ (ქართლის ცხოვრება” სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტ. I, სახელგამი, თბ., 1855 წ., გვ. 14)

ლეონტი მროველის ამ ცნობის თანახმად, რაკილა ”მოვიდა ჰამბავი“, ესე იგი აღნიშნულ პერიოდში საქართველოს უკვე აქვს ურთიერთობა ებრაელებთან. ანუ ქართველები იღებენ ინფორმაციას, რომ მოსემ, ღვთის ნებით, თავისი ხალხი ეგვიპტეში ხანგრძლივი მონობიდან გამოიყვანა, ისრაელის გზას გაუყენა და რომ ისინი სასანაულბრივი ციური მანანით საზრდობენ. ყველაზე საგულსხმო კი ლეონტი მროველის ამ ცნობაში მაინც ის არის, რომ სრულიად ამკარაა უნიკალური ფაქტი: და აქ, ალბათ, რელიგიის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევასთან უნდა გვეკიდეს საქმე, რაკი იმხანად კერპთაყვანისმცემელმა ერმა, ანუ ისტორიკოსის თქმით, „მათ ყოველთა წარმართთა აქეს ღმერთი ისრაელთა“! – ანუ, აქვს სხვა ერისა და რელიგიური მრწამსის ღმერთი (ხაზი ჩემია — დ.ბ.)!

ლეონტი მროველის აღნიშნული ცნობა მნიშვნელოვნად უსწრებს წინ მისსავე ინფორმაციას „ქართლის ცხოვრებიდან“ ებრაელების მცხეთელ მამასახლისთან ვიზიტის თაობაზე. რადგან ესოდენ ავტორიტეტული წყაროს

(დასასრული მე-6 გვერდზე)

„მაღლა და მაღლა, სულ ზევით, ზევით!“

ეს სტრიქონები თითქოს კომპოზიტორ იოსებ ბარდნაშვილის შემოქმედებით ცხოვრებაზე თქვა პოეტმა — ახლახან „მენორასათვის“ ცნობილი გახდა, რომ იგი ახალ ოპერაზე მუშაობს. ეს იმდენად მნიშვნელოვან გარემოებად მივიჩნიეთ, რომ საპრემიერო დღეებს არ დაველოდეთ და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მკითხველს გავაცნოთ კომპოზიტორის შემოქმედებითი ცხოვრების ახალი ეტაპი.

— **გადავავლოთ თვალი საოპერო ჟანრში თქვენს შემოქმედებით ბიოგრაფიას: როდის დაიწყო, რამდენი ოპერა დაწერეთ და სად დაიდგა?**

— თუ არ ჩავთვლით ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში საყვირზე დაკვრის სწავლის დროს, ჩემს ახირებულ ამბიციურ სურვილს, ლიბრეტისტ უფროს ძმასთან (პროფესიით არქიტექტორია) რუბენტან ერთად შეგვექმნა დიდი მუსიკალური ტილო (!!), რომელიც დიმიტრი თავდადებულის (!) ცხოვრების დრამატულ ფურცლებს დაეყრდნობოდა და ასევე არანაკლებ ცნობილი, „ბრემნელი მუსიკოსების“ მხიარული ისტორია საოპერო ფორმატში აგვექმნა. ჯამში ოთხი განსხვავებული შინაარსისა და მასშტაბის ოპერის ავტორი გახლავართ. აქედან ოთხივეს შექმნის მიზეზი დაკვეთა გახლდათ!!!

— **მოვევთ თავიდან. პირველი ოპერა?**

— პირველი ოპერის შექმნა 1976 წ. ცნობილმა პროდუსერმა და ბრწყინვალე პიროვნებამ, რობერტ ბარდიშვილმა შემომთავაზა. შესაბამისად როკ ოპერა „ალტერნატივა“ შეიქმნა ვოკალურ ინსტრუმენტალურ ანსამბლ „ვია 75“-სათვის და მან იმ პერიოდში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მეც სერიოზული შემოქმედებითი წარმატება მომიტანა. ამ ოპერის შექმნაზე ბრწყინვალე შემოქმედნი გაისარჯენ: რეჟისორი და იდეის ავტორი, რობერტ სტურუა, სცენოგრაფი გოგი მესხიშვილი, ქორეოგრაფი იურა ზარცკი, ტექსტის ავტორებად კი საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი ნუგზარ ერგემლიძე და ისევე ჩემი ძმა რუბენი მოგვევლინენ. ოპერამ სამი წელი იარსება და ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში დიდი წარმატებით გაიჟღერა.

მეორე დიდ ორმოქმედებამ ოპერაზე მუშაობა კი 1980წ. დაიწყო. შესანიშნავი რეჟისორისა და დიდი პიროვნების, გურამ მელივას დაკვეთით. ეს გახლდათ შალომ ალექსიძის ცნობილი რომანის „მოხეტიალე ვარსკლავები“-ს ჩვენეული

ადაპტაცია. ბევრი მცდელობის მიუხედავად, მისი განხორციელება სამწუხაროდ, ვერ შევსძელით.

მესამე გახლდათ, მონო ოპერა „ევა“ (1998წ.) რომელიც ფესტივალ „საკრო არტ“-ის (ჰანოვერი) დაკვეთით შეიქმნა და მისი დადგმა განხორციელდა მოსკოვის „გელიკონ ოპერა“ (რეჟისორი, დიმიტრი ბერტმანი). ამ სპექტაკლმა რუსეთში ცნობილი თეატრალური პრიზი „მასკა“ (ნილაბი) დაიმსახურა. ამ ოპერის სხვა ახალ ფორმატში განხორციელება კი მოხდა ისრაელში 2012 წ.

მეოთხე ოპერა „მოგზაურობა ათასწლეულის მიჯნაზე“ (2005წ.) ცნობილი ისრაელი მწერლის ალექს ბეთ იოშუას ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით დაინერა და თელ ავივის ახალი ოპერის მე-20 წლისთავს მიეძღვნა. მან დიდი შემოქმედებითი სიხარული მომანიჭა. სპექტაკლი რამდენიმეჯერ დაუბრუნდა სცენას და ასევე აჟღერდა იტალიაში, ქ. რომის საოპერო თეატრის სცენაზე (2008 წ.)

— **რა შემოქმედებითი გამოცდილება მოგცათ ამ ჟანრში მუშაობამ?**

— მოგეხსენებათ, რომ ოპერა სინთეზური ჟანრია და შესაბამისად გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებასაც გულისხმობს. ჩემდა საბედნიეროდ, ეს გამოცდილება თეატრში და კინოში მუშაობამ მომცა. თანაც ვაღიარებ რომ „ოპერის გიჟი“ ვარ და სტუდენტური პერიოდიდან დღემდე ოპერის ხშირი სტუმარი გახლავართ.

ოპერა დიდი მუსიკალური ტილოა და შესაბამის ფართე, გნებავთ ფილოსოფიურ, ესტეტიკურს (და ა.შ.) ხედვასაც გულისხმობს.

არსებობს დიდი ისტორიული ტრადიცია და სრულიად ახალი ხედვაც. შესაბამისად, უამრავი სუფთა პროფესიული სირთულის გადალახვა გინევს. მაგრამ ეს პრაქტიკული გამოცდილება შემდეგში დიდხანს გადგება სხვა ნაწარმოებზე მუშაობის დროს. თვით ის ფაქტი, რომ შენს ნაწარმოებზე მუშაობს უამრავი ადამიანი (მომღერლები, გუნდი, ორკესტრი, სადადგმო ჯგუფი) საკუთარ შესაძლებლობისადმი განსხვავებულ პროფესიულ მიდგომასაც

გულისხმობს.

— **რა მასალაზე იწერება ახალი ოპერა, რომელი ნაწარმოები ედება საფუძვლად?**

— ახალი ოპერა, ისევე ისრაელის ოპერის დაკვეთა და საფუძვლად ანსკის საოცარი სიღრმისა და დრამატული დატვირთვის პიესა „დიბუკი“ უდევს საფუძვლად. მისი განხორციელება დაგეგმილია 2020 წელს.


— **ანსკის „დიბუკი“ ებრაული კლასიკაა. ევგენი ვახტანგვიძიდან მოყოლებული, ეს პიესა მრავალი თეატრის სცენაზე გავრცელებულია. დღეს რით გახდა საინტერესო სულთა გადასახლების პრობლემა?**

— გეთანხმებით, „დიბუკი“ ებრაული კლასიკაა და დღემდე ფართო საზოგადოებრიობის დიდ დაინტერესებას იწვევს. ბოლოს და ბოლოს საუბარია უსასრულო და უკიდევანო სიყვარულზე! არსებობს კი რაიმე ამაზე ძლიერი, მისტიური და მიუწვდომელი!

დღემდე არ მესმის ასეთ რთულ ნაწარმოებზე მუშაობას როგორ და რატომ დავთანხვდით! თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ჰაბიზას თეატრის 75 წლისთავზე (1997წ.) განხორციელებული „დიბუკის“ ახალი დადგმის მუსიკის ავტორი მე გახლდით და მასში ისრაელის თეატრალურმა საზოგადოებამ დიდი სპეციალური პრიზი მომანიჭა. ეტყობა კაცი თავის ბედს ვერსად ვერ გაექცევა.

— **რა ეტაპზეა ოპერაზე მუშაობა, როდის უნდა ველოდოთ მის სცენურ სიცოცხლეს?**

— სულ რამდენიმე დღის წინ დავასრულე პირველი მოქმედება და უკვე შევუდექი მუშაობას მეორე



მოქმედებაზე. რა თქმა უნდა, წერის პროცესი უსასრულოა და ჯერ კიდევ ბევრ რამეს დასჭირდება გადახედვა. ლიბრეტოს საერთო მიმართულება უკვე გააჩნია და კონკრეტული მუსიკალური გადაწყვეტილების მიღებაც ამ ჩარჩოებში ხდება. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც წერილმანებს კიდევ დასჭირდება დაზუსტება. ლიბრეტისტი შესანიშნავი მყავს (ილო რიკლინი) რომელიც ასევე რეჟისორულად განახორციელებს სპექტაკლს. მეც და მას მოთმინებისა და ურთიერთპატივისცემის კარგი სკოლა გვაქვს განვლილი, რაც მუშაობას ხალისიანსა და საინტერესოს ხდის.

ღმერთის შენეებით ამ ძალიან სერიოზულ პროექტს ბოლომდე მივიყვანთ და სიამოვნებით დაგპატივებთ პრემიერაზე.

— **ჩვენც ასევე ღვთის ნებით, სიამოვნებით გენვევით, რადგან ქართული ებრაული კომპოზიტორის კიდევ ერთი ახალი ოპერის დაბადება და განხორციელება ჩვენი საზოგადოებრიობის მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია. წარმატებას გისურვებთ — ბეატაბა!**

რთული ხალხი

ცნობილია, რომ დონალდ ტრამპი ერთობ კეთილად გახლავთ განწყობილი ისრაელის სახელმწიფოსა და ებრაელი ხალხის მიმართ. სხვა ფაქტებს რომ გვერდი ავუაროთ, თუნდაც ის რად ღირს, რომ აშშ საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანა. მიუხედავად ამისა, აშშ-ში 7 ნომბერს ჩატარებულ შუალედურ არჩევნებში აქ სახელმწიფოს ებრაელთა 75% არა დონალდ ტრამპის რესპუბლიკურ პარტიას, არამედ დემოკრატებს დაუჭირა მხარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აშშ ებრაელთა 75% არ იწონებს დონალდ ტრამპის პოლიტიკას. კიდევ ერთხელ დასტურდება: აშშ ებრაელობა არა ეროვნული, არამედ პოლიტიკური ინტერესებით მოქმედებს.

არჩევნების შედეგად აშშ კონგრესის თემთა პალატაში 28 ებრაელია, აქედან მხოლოდ ორია რესპუბლიკური პარტიის წევრი, 26 კი დემოკრატია. სენატორი გახდა ცხრა ებრაელი — ყველა დემოკრატიული პარტიის წევრი.

პრემიერ-მინისტრის ბოდიში

კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ კანადის თემთა პალატაში გამოსვლისას ოფიციალურად მოიხადა ბოდიში იმის გამო, რომ 1939 წ. კანადის ხელისუფლებამ არ მიიღო ნაცისტური გერმანიიდან ლტოლვილ ებრაელთა გემი „სენტ-ლუისი.“ რომელიც გერმანიიდან კუბისაკენ მიემართებოდა და რომელზეც 930 ლტოლვილი იმყოფებოდა — ენადათ კუბაში უსაფრთხო გარემოში დალოდებოდნენ აშშ-ში შესასვლელ ვიზას, მაგრამ არც კუბამ და არც ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოებმა ებრაელები არ მიიღეს. უკან მობრუნებულებმა ითხოვეს კანადაში შესულიყვნენ. მიღებაზე კანადამაც უარი განაცხადა და იძულებული გახდნენ, ისევ ევროპაში დაბრუნებულიყვნენ. ისინი დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ბელგიასა და პოლანდიასი განაწილდნენ.

ვერცხლისწყალი!

ვერცხლისწყალი — მუჭა ერთი დაგვაბერტყეს იმ მთას, ამ მთას, ავლანეთში გუჯარეთით, ქართლ-კახეთით — ისპაჰანთან.

კრემლმა სოჭი აგვათალა, ლორიც, კახიც, ზაქათალაც. სხვებმა ნაჯექ-უკუჯექით ჩვენი ტაო და კლარჯეთი.

დრო დაგვიდგა დანანების და მოძებნა გვმართებს გზების, რომ შევიტყობთ ალანები და მორღუა აფხაზები.

არ ვაკვირვებ არავისა, ნათქვამია მრავალგზისა, ჩვენს ძარღვებში ალანის და არის სისხლი აფხაზისა.

ძმობის ძალა იმფერია, დღეს რაც ჩრდილად გვაფენია, გულს რომ გვტყენს და ტანში გვზარავს; შვიდ სამთავროს, შვიდ ფერიანს ველარ აქცევს ვერცხლისწყალად, ველარ დაგვძლის იმპერია!

ოლონდ დღემდე უვალ გზებზე. შევხვდეთ ძმას და მოკავშირეს, როგორც ებრაელი ეძებს თორმეტციე ტომის შვილებს!

როცა ვნახე, მივხვდი ნამში, ძმად რად თვლის და რატომ უვლის სულ მთლად უცხოს, — თუ აქვს ძარღვი, წვეთი სისხლი ებრაული!

დიდო ღმერთო, რადგან გვწყალობ, გთხოვ, ვერ გაგვავერცხლისწყალონ!

ალექსანდრა შენგელია

ცნობით, ძველ ებრაელთა სჯულმდებლის, წინასწარმეტყველის, განმათავისუფლებლის, ბელადისა და კანონმდებლის, ბიბლიური მოსეს ამბავი თანადროულ საქართველოში ჩამოდის და თან ესოდენი პატივისცემით აღინიშნება, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა დასაბამად, სწორედ, მოსეს ეპოქა უნდა ვივარაუდოთ, რაკი უფრო ადრინდელი ისტორიული წყარო არ მოგვეძიებება.

“ქართლის ცხოვრების” ყაუხჩიშვილისეული გამოცემის მე-14 გვერდზე, მე-2 სქოლიოში აღნიშნულია: „არშიაზე: მოსე ზღუა განვლო. ადამს უკან ორი ათას ოთხას ორმოცდა სამს წელს უკან მოსე (მ) “ზღუა განვლო ERD”.

თუ აღნიშნული თარიღიდან ავითვლით, ძველი წელთაღრიცხვის 25-ე საუკუნეზეა მინიშნება და ამ ისტორიულ მონაცემზე დაყრდნობით 45-საუკუნოვან თარიღთან უნდა გვექონდეს საქმე. მაგრამ არსებობს სხვა ვერსიებიც. მოსეს ეპოქის დაზუსტების მიზნით ფაქტების შესაჯერებლად საცნობარო, სამეცნიერო და საღვთისმეტყველო ლიტერატურის მოსაძიებლად საკმაოდ დიდი ძალისხმევა გავსიე. ქრონოლოგიური მიმდევრობით წარმოგიდგინთ საკუთრივ მოსესადმი მიძღვილ წყაროთა ზოგიერთ მონაცემს: მაგალითად, 1768 წელს დასტამბული ავტორიტეტული ენციკლოპედია „რიტანიკა“ მე-15 ტომის 838-ე გვერდზე მოსეს ეპოქად ძველი სტილით მე-13 საუკუნეს უთითებს: “Moses (13th century v.c.)” (Encyclopædia Britannica, Encyclopædia INC, William Benton, პუბლისპერ. ჩიხცავო. ონდო. თორონტო. ენევა. შყდნეყ). 1901 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული პ. ლებნ-ენსკის ერთობ ვრცელსათაურიანი ნაშრომი მოსეს ეპოქად ძვ.წ.ად. მე-15 საუკუნეს სათაურშივე კონსტატირებს: „Краткий исторический обзор движения и развития древнееврейского законодательства за время от Мойсея в XV в. до Р.Х. до Маймонида (Рамбам) в XII в. по Р.Х.“ გარდა ამისა, ა. გარკავინისა და ლ. კაცენელსონის ერთობლივი რედაქტირებით მე-20 საუკუნის დასაწყისში სანკტ-პეტერბურგში დასტამბული 16-ტომიანი „Еврейская энциклопедия“ მე-11 ტომში ს.ბერნფელდის 18-გვერდიან ვრცელ მიმოხილვაში მოსეს ეპოქას არ უთითებს (Свод знания о еврейства и его культуры в прошлом и настоящем. Издательство общества для научных Еврейских изданий. Изд. Брокгауз-Ефронъ). რუსული ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის „Гранат“-ის „Энциклопедический словарь“ 1933 წლის გამოცემის 29-ე ტომის 210-ე გვერდზე აღნიშნავს: „...исход из Египта, если датировать это событие царствованием фараона Мернепты, то М. должен был жить приблизительно в конце XIII в. до Р.Х.“ ქსავიე ლეონ-დიუფურისა და სხვათა რედაქტირებით გამოცემული „Словарь библейского Богословия“ მოსეს ეპოქას არ უთითებს (გამომცემლობა „Жизнь с Богом“, მოსკოვი, ტ. მე-20. 1990 წ., გვ. 588-591). ფუნდამენტური „Православная энциклопедия“ სხვადასხვა პასაჟებში მოსეს ეპოქას სხვადასხვაგვარად მიანიშნებს. მაგალითად, 632-ე გვერდზე ეგვიპტიდან გამოსვლას ჩვ. ერამდე XV საუკუნის შუა ხანს მიაკუთვნებს. თუმცა, იქვე განსხვავებულადაც აპელირებს: „В случае ранней датировки исхода... в случае поздней (ხაზი ჩემია - დ.ბ.) ... Число лет, прошедших от исхода до начала строительства Храма, ряд исследователей интерпретирует как символическое“ (მოსკოვი. 21 -ე ტომი, გვ. 611-660). „Большая Российская энциклопедия“ კი აღნიშნავს: „Согласно библейской хронологии, Исход евреев из Египта и, следовательно, жизнь М. должны приходиться на 15 в. до н.э., что не согласуется с данными об истории Древнего Востока. В новоэвропейской науке получила распространение датировка Исхода кон. 13 в. до н.э. (გამომცემლობა „Жизнь с Богом“, მოსკოვი, ტ. მე-20. 1990 წ., გვ. 588-591). მოსკოვში გამოცემული ილუსტრირებული ენციკლოპედია „Всеобщая история религии мира“ 526-ე გვერდის §77-ის ფრჩხილებში უთითებს: „Некоторые авторитеты датируют Исход 1445 г. до н.э., но большинство ученых принимают дату около 1227 г. до н.э.“ (Древнейший период. Возникновение культа. Раздел IX. Монотеистические религии. Иудаизм. გვ. 522-566). მკვლევარ მ. შაპიროს ნარკვევების კრებულში „100 Великих евреев“ პირველივე ნარკვევი ბიბლიურ მოსეს ეძღვნება და მისი ეპოქის შესახებ გვაუწყებს: „XIII в. до н.э. По другим источникам: 1570-1456 г.г. до н.э.“ (მოსკოვი. გამომცემლობა „Вече“. გვ. 10).

რაც შეეხება ქართულენოვან წყაროებს: „ბიბლიის ლექსიკონი I ტომის 341-ე გვერდზე მოსეს ეპოქას არ უთითებს (გამომცემლობა „მთაწმინდა“). გარდა, ამისა, „ბიბლიის ენციკლოპედიის“ ერთტომეულის მეორე გამოცემა განაკვეთში „ბიბლიის ნიგნები. ძველი აღთქმა“ ოქსფორდის ინგლისურენოვან ორიგინალზე დაყრდნობით რამდენიმე მონაცემს გვანდის: გვ. 87: „გამოვლდა ... დაახლოებით 1325-1225 წ.წ. ძველი ნ.ა. ... უშუალოდ აღთქმულ მიწაზე შესვლის წინ დაახლოებით 1230 წ. ჩვ. წ-მდე, მოსე სიკვდილის წინ შეახსენებს და ახდენს აღთქმის განახლებას ღმერთსა და ხალხს შორის“: იქვე: „ბიბლიური ისტორიის ატლასი. ეგვიპტიდან აღთქმული ქვეყნისკენ. დიაგრამაში: მოსე 1300 წ. ჩვ. ე. ... ეს მოხდა ალბათ, XIII საუკუნის დასაწყისში ჩვ. წ-მდე. დაახლოებით იმ დროს, როცა ეგვიპტეში რამზეს II მეფობდა“ (ნანილი 8. ბიბლიის ადამიანები. გვ. 318). და კიდევ: როგორც დიდი საბჭოთა, ისე ქართული ენციკლოპედიების მიხედვით, მოსე დაუზუსტებელი მონაცემებით, ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნის მოღვაწეადა მიჩნეული. ორივე - რუსული და ქართული ენციკლოპედიური გამოცემები მე-13 საუკუნეს კითხვის ნიშნით მიუთითებენ. ამ სახელდახელო ექსკურსიდან აშკარაა, რომ ისტორიული დროის ამპლიტუდა ძველი სტილით 25-ე და მე-13 საუკუნეთა შორის მერყეობს. თუმცა ყველაზე ხშირად მაინც ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნეზეა აპელირება. ასეა თუ ისე, კატეგორიულის მტკიცება შეუძლებელია, მაგრამ რაკი უპირატესი აქცენტი მაინც მე-13 საუკუნეზე მოდის, ჩვენს ერამდე მე-13 საუკუნეზე ორინტირებით და არითმეტიკული შეჯამების ზემოთ უკვე არაერთგზის მოხმობილი პრინციპით, ძვ. წ. მე-13 ს. + ახ. წ. მე-20 ს. = 33 ს. ამდენად, კაცობრიობის ორ უძველეს ერს - ებრაელებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის 33-საუკუნოვან ისტორიასთან უნდა გვექონდეს საქმე. უფრო დაკონკრეტებით ამ თარიღისავე უნისონშია 1989 წელს დასტამბული ბიბლიური მემკვიდრეობის სრული, ფუნდამენტური გამოცემის მონაცემიც. კერძოდ, 1218-ე გვერდზე დატანილი დანართის გრაფა ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგიაში გვაუწყებს: “ძვ. წ. აღ. 1250-1230: მოსე. ისრაელიანთა ეგვიპტიდან გამოსვლა. სინაის რჯულის მიღება. მოსეს აღსასრული”. გასწვრივი პარალელური გრაფა ძველი მსოფლიო ისტორიის ქრონოლოგიისა კი ამ საკითხთან დაკავშირებით ცარიელია (ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. 1989წ., გვ. 1218.). თუმცა, მოსეს მოღვაწეობის

თაობაზე უფრო ადრინდელ თარიღს, ანუ ქრისტეს დაბადებამდე მე-16-15 საუკუნეების მიჯნას მიუთითებს ბროკჰაუზ-ეფრონის „დიდი ენციკლოპედიური ლექსიკონი“. ამ უკანასკნელი ვერსიით, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა 33-საუკუნოვანი სტაჟი თითქმის მთელი 3 საუკუნით მატულობს და 36 საუკუნეს მოითვლის. მოკლედ, ზემოაღნიშნული ვრცელი მიმოხილვიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ ბიბლიური მოსეს ეპოქასთან დაკავშირებული ურთიერთობათა დასაბამის ყველაზე ხანგრძლივი ჟამი 45 საუკუნეა, ყველაზე ნაკლები კი 33 საუკუნე. (სხვათა შორის, მოსესთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საერთოდ მთელს ქრისტიანულ სამყაროზე, ასევე ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაზეც უდიდესი გავლენა იქონია „მოსეს სამართალმა“. ამ ბიბლიური სჯულმდებლისა და კანონმდებლის 52 მუხლისაგან შემდგარ კანონთა კრებულს ვახტანგ VI-ის სამართლებრივ შრომებში პირველი ადგილი უკავია).

ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენთვის საინტერესო თემაზე კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცნობას გვანდის. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის მე-16 გვერდზე ებრაელთა მცხეთური ვოიაჟის შესახებ ცნობიდან რამდენიმე აბზაცით ქვემოთ აღნიშნულია: „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ეს ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული (ხაზი ჩემია — დ.ბ.) და ბერძული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“...

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი თემა, როგორც ოფიციალური კვლევის საგანი, საბჭოურ სისტემაში ტაბუირებული იყო. იმ უძრავის დროს, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ მაინც არაერთ უნიკალურ ფაქტს მივაკვლიე. სამწუხაროდ, მისი გამოქვეყნება ვერ შეეძელი. თუმცა, „პერესტროიკისეული“ დათბობის წყალობით მომეცა შესაძლებლობა, ზოგი მათგანი ისრაელში ვიზიტად მიმავალ კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორისათვის გამეცნო. წმინდა მიწიდან დაბრუნებულმა საქართველოს მღვდელმთავარმა დამიბარა და გულითადი მადლობა მითხრა იმ მეტად მთამბეჭდავი უნიკალური მასალისთვის, იქაურ მასპინძლებსა და ოფიციალურ წრეებზე უდიდესი ეფექტი რომ მოუხდენია. უმნიშვნელო ნაწილი იმ ფაქტებისა შემდგომში გამოვაქვეყნე საპატრიარქოს ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“.

კიდევ ერთი ვერსია

არის კიდევ ერთი ვერსია, რომელიც ყველა ფიქსირებული თვალსაზრისის საპირისპიროა. ამ ვერსიის თანახმად, საქართველოში თავდაპირველი ებრაელები არ განეკუთვნებოდნენ ემიგრანტთა კატეგორიას. უბრალოდ, უხსოვარ დროში ადგილობრივ ქართველთა გარკვეულმა ნაწილმა შეიცვალა სარწმუნოება და აღიარა ღმერთი ისრაელთა. თითქოს მათ დაუდეს სათავე საქართველოში მრავალსაუკუნოვან და მრავალათასიან ებრაულ დიასპორას. სწორედ ამ კონტექსტშია საგულისხმო ზაქარია ჭიჭინაძის ნარკვევი „გაურიავებული ქართველები და გაქართველებული ურიები“. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მაინც ვარაუდის სფეროს განეკუთვნება და ავტორის თვალსაზრისის განსხვავებული აზრის კონტექსტში მოიაზრება.

ქართული სახელმწიფოებრიობა 41 საუკუნისა?

1864 წლის ზემოაღნიშნული „კავკასიური კალენდრის“ ქრონოლოგიურ ნუსხაში ჩემი ყურადღება იმთავითვე სხვა თარიღებზეც მიიქცია. მართალია, ეს თემა ჩემი ამჟამინდელი მსჯელობის კონტექსტიდან ამოვარდნილია, მაგრამ რამდენადაც იმ საბჭოთა დროს ამ მონაცემთა გამომზეურებაზე ცვი უარი მივიღე, ამჯერად მაინც ვისარგებლებ შემთხვევით და ამ ყოველივეს, რომ იტყვიან, ცნობისათვის მოგანვდით:

პირველი: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ I ტომის 557-ე გვერდი არგონავტების მითს ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის პირველ ნახევარს მიაკუთვნებს. „კავკასიური კალენდარი“ კი აკონკრეტებს, რომ „1350 წელს (ჩვენს ერამდე - დ.ბ.) შესდგა არგონავტთა ლაშქრობა ოქროს საწმისისათვის კოლხიდაში (სამეგრელოსა და გურიაში)“.

მეორე: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ (შემოკლებით ქსე) მე-5 ტომის 68-ე გვერდზე დასტამბულია: „ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნის დასაწყისში იბერიის სამეფოში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ადგილობრივი წარმოშობის პირმა (მცხეთის მამასახლისების საგვარეულოს წევრმა) ფარნავაზმა“. „კავკასიური კალენდარი“ კი ვკითხულობთ: „302 წელი (ჩვ. ერამდე - დ.ბ.). ქართლოსიანთა დინასტიის პირველი ქართველი მეფე ფარნავაზი აფუძნებს ქართველთა სამოქალაქო ანბანს და ავრცელებს ქართულ ენას“. ე.ი. გამოდის, რომ „ქსე“-სგან განსხვავებით, ფარნავაზს ერთი საუკუნით ადრე (ანუ ძვ.წ. აღ. მე-4 საუკუნეში) უცხოვრია.

ამ კონტექსტშია საგულისხმო აგრეთვე „კალენდრისეული“ კიდევ ორი ინფორმაციაც ძვ. წელთაღრიცხვიდან:

„2500 წელი - მსოფლიო წარღვნა. ნოეს კიდობანი შეჩერდა დიდი არარატის მწვერვალზე.“

2110 წელი - ჰაოსი ტოვებს ქალდეას და მოდის არარატისპირა ქვეყნებში, სადაც აარსებს სომხეთის სამეფოს. ქართლოსი სახლდება ქართლში“ (ხაზი ჩემია - დ.ბ.)

ლეონტი მროველისეული „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ჰაოსი და ქართლოსი ძმები იყვნენ, შვილნი დიდი თარგამოსისა. და თუკი ძველი წელთაღრიცხვის 2110 წელს ახალი წელთაღრიცხვის 1998 წელს მივუმატებთ, მივიღებთ 4108 წელს, ანუ 41 საუკუნეს. ამრიგად, ქართული სახელმწიფოებრიობის ხნოვანებაზე „კალენდრისეული“ წყარო 41 საუკუნეს გვაუწყებს. მეტიც: 42-ე საუკუნეში ყოფილა გადამდგარი.

დავით ბუზუკაშვილი საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი თბილისი, 1998 წელი.

P.S. და კიდევ: იგივე „კალენდარი“ ბაგრატიდთა საგვარეულოს დასაბამად ჩვენს ერამდე 700 წელს მიიჩნევს (ცნობისათვის: „Кавказский календарь“. Издание от канцеларии кавказскаго Намѣстника. Изданъ по распоряженію его Императорскаго величества на Кавказѣ канцеларіей Наместника под редакціей Н.П. Стельмашука. თბილისში დისლოცირებული კავკასიის მთავარმმართველის კანცელარიის ეს მნიშვნელოვანი ფუნდამენტური წელიწადეული 1846-1917 წლებში იბეჭდებოდა თავდაპირველად სანკტ-პეტერბურგის სამხედრო სტამბაში, მოგვიანებით კი უკვე თბილისში).

დ. ბ.

საგულისხმოა, რომ ეს პასაჟი ფიგურირებს 1849 წლიდან მოყოლებული „კავკასიური კალენდრის“ ყოველი მომდევნო წლის გამოცემაში. კერძოდ, გა- ნაკვეთში „ქრონოლოგიური მაჩვენებელი“ (хронологическое показание). მაგრამ მე ჩემს ხელთ არსებული 1864 წლის ეგზემპლართი ვიხელმძღვანელებ.

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



ავიგდელს როზენბლადი

ადარის თვე — რაველონ

რაში გვეუბნება, რომ კვირის საკითხავ თავში „თერუმა“ საუბარია სამ შესანიარავზე - ერთი - მახაცით ჰაშეკელია, რომლისგანაც მიშქანის ძელების ძირებს აკეთებდნენ. მეორე შესანიარავს იღებდნენ საზოგადოებრივი მსხვერპლისათვის. მესამე შესანიარავს იყო. და კიდევ, 23 ადარიდან 1 ნისანის ჩათვლით მოშე გადასცემდა აპარონს ქოენობას, 1 ნისანს კი დაიდგა მიშქანი.

ცნობილია, რომ ნილი იყარა და ის ადარის თვეზე შეჩერდა. და გაუხარდა ამანს, რადგანაც ადარში გარდაიცვალა მოშე. მაგრამ ადარშივე დაიბადა მოშე რაბინი. მიდრამი გაუგებარია. მერე რა, რომ გარდაიცვალა მოშე რაბინი? რატომ უკავშირებდა ამანი ებრაელების განადგურებას ამ თარიღს? და რატომ უნდა შეეშალა მისთვის ხელი იმას, რომ მოშე რაბინი დაიბადა ადარშივე?

ადარის ბოლოს მოშე რაბინი ჯერ კიდევ მთავარი ქოენია, რადგანაც მხოლოდ 1 ნისანს გადასცა ყველაფერი აპარონს.

ფარაში (კვირის საკითხავი თავი) „თეცავე“ ასე იწყება: „და შენ ამცნე ებრაელებს და აიღებენ ზეთს ასანთებდა“, რომელსაც ანთებენ აპარონი და მისი შვილები. რისთვის სჭირდება მოშე რაბინის ზეთი და რატომაა აქ საუბარი მენორის ანთებაზე?

ბაალ ტურიმი ამბობს, რომ „შემოთიდან“ „დებარი-მამდე“ ეს ერთად-ერთი თავია, რომელშიც სახელი მოშე არაა მოხსენიებული. არის სხვა თავებიც მისი სახელის გარეშე. ეს თავი იმით განსხვავდება, რომ მოშე

რაბინი ულაპარაკობს, მაგრამ არ მოიხსენიება. ბაალ ტურიმი გვიხსნის, რომ მიზეზი ოქროს ვერძის ცოდვასთანაა კავშირი. ცოდვის ჩადენის შემდეგ გამ-ნს სურდა ებრაელების განადგურება, მოშე რაბინი კი იცავს ებრაელობას და შესთხოვს: თუ ამას გააკეთებ, ჩემი სახელი ნამალე შენი ნიგნიდან, რომელიც დანერგე. თორის კომენტატორი რაში გვიხსნის, რომ ეს თხოვნა მთელ თორას შეეხებოდა. და რატომაა ეს დაკავშირებული ფარაშასთან „თეცავე“? ბაალ ტურიმი გვიხსნის, რომ წმინდანის სიტყვები პირობის ნაყენების შემთხვევაშიც კი სრულდება, მაგრამ რატომ სწორედ „თეცავე“? ალბათ, ეს თავად ფარაშის არსთანაა დაკავშირებული. „თეცავე“ ერთად-ერთი ფარაშაა, რომელიც იწყება მოშე რაბინის სახელით და სიტყვით „ათა“ (შენ). ყოველ ადამიანს აქვს სახელი და ასევე აქვს არსი. სახელთან შედარებით არსი გაცილებით მაღალ დონეზეა კლი იაკარი გვიხსნის: „ათა თეცავე“ — „შენ - ეს შენი საკუთარი არსია“. ამ ფარაშაში ყველაზე მეტად გამოვლინდება მოშე რაბინის არსი. უკვე ვახსენეთ, რომ ზეთი მოშე რაბინისგან უნდა აეღოთ, სანთლებს კი აპარონი ანთებდა. მოშე რაბინი უვიდი დღე მსახურობს ქოენად, შემდეგ კი ამზადებს აპარონსა და მის ვაჟებს ქოენობისათვის.

იმას, რომ მოშე რაბინის სახელი არ ჩანს, მაგრამ მისი არსი ყველაზე მეტად აქ გამოვლინდება, ბაალ ატურიმი ოქროს ვერძის ცოდვას უკავშირებს. მოშე რაბინი მზადაა იმისათვის, რომ თორიდან მისი სახელი წაშალოს, მაგრამ თავად თორა ხომ მის სახელთანაა დაკავშირებული. ეს საკუთარი თავის დიდი მსხვერპლად გაღებაა. რაში გვიხსნის, რომ მოშე რაბინი შესთხოვს, რათა მერე არავის ეთქვა, რომ არასაკმარისად შესთხოვდა. ოქროს ვერძის ცოდვა ძალიან მძიმეა. რამბამი გვიხსნის: ჰაშემმა თქვა, რომ პატიობს, მაგრამ არ იქნება თაობა, რომელსაც არ მოეკითხება ამ ცოდვის გამო.

მოშე რაბინი ჰაშემს რატომ შესთხოვს ებრაელების შებრალებას — ჰაშემი ხომ მართალია? შეიძლება ცავიგოთ, რომ როცა ადამიანი იტანჯება, ის საერთო ცოდვების გამო ისჯება. შეიძლება დაისჯოს იმის გამო, რომ არ აპროტესტებდა. აპარონი და ხური ამ დროს ხალხთან ერთად იყვნენ. მხოლოდ მოშე რაბინი არ იყო ოქროს ვერძის ცოდვასთან კავშირში. ამ დროს ის სინას მთაზე იყო. მოშე რაბინი წინააღმდეგობაში მოექცა. ერთის მხრივ, მოშე თორაა თორა კი - მოშე. მეორე მხარეზე კი ისრაელი ხალხია. რაში თორის ერთ-ერთ ეპიზოდზე წერს, რომ მოშე ისრაელია და ისრაელი - მოშე. ლიდერი ყველაფერია. მოშე არჩევანის წინაშეა - ერთის მხრივ არის თორა, ეს მოშეს მთელი სამყაროა, მეორეს მხრივ, კი მოშეს კავშირია ხალხთან. რომელია მთავარი? ის, რომ მოშე ამბობს „ნამშალე შენი თორიდან“, იმაზე მეტყველებს, რომ მოშეს კავშირი ხალხთან უფრო ღრმაა, ვიდრე თორასთან. ეს გაუგებარია, თორა და ებრაელი ხალხი ხომ ერთია, თორა და ჰაშემი კი ცალკეა. ებრაელი ხალხის ჰაშემთან კავშირი უფრო ძლიერია, ვიდრე - თორასთან. მოშე ამბობს, რომ თუ გამოვა ისე, რომ მე არ შეგნივთ თავი ებრაელი ხალხისთვის თორასთან ჩემი კავშირის გამო, მაშინ საერთოდ არ იქნება სამყაროში თავის შენივთა ებრაელი ხალხის გამო. ანუ ებრაელები ვერ გაიგებენ, თუ რა არის თავის შენივთა ებრაელი ხალხის გამო.

ვინ უფრო მნიშვნელოვანია - ებრაელები თუ თორა?

ამაზევე ფიქრობენ მორდეხაი და ესთერი. 14 ნისანს ყარა ნილი ამანმა. ნილი კი ბოლო თვეს - ადარის თვეს ერგო. ესთერი ახაშვერომთან უნდა შევიდეს და მორდეხაის გადასცემს, რომ ყველამ იმარხულოს მისთვის. მაგრამ ეს არაა უბრალო დღე - ფესახია, როდესაც ვალდებულე-ბი არიან ჭამონ მაცა. მორდეხაი ატყობინებს ესთერს: „ხვალ ხომ ფესახია?“ უპასუხა ესთერმა: შენ ის ხარ, ვისაც ბრძენს უნოდებენ? თუ ებრაელები არ იქნებიან, მაშინ რისთვისაა ფესახია? მაგრამ, რატომ არ შეიძლე-ბოდა მარხვა ფესახის დასრულებისთანავე, ნილი ხომ წლის ბოლო თვეს ერგო, ახლა კი წლის პირველი თვეა? საქმე იმაშია, რომ თუ მომდევნო თაობებში ეცოდინე-ბათ, რომ ისხდნენ და ფესახს დღესასწაულობდნენ, მიხვდებიან, რომ თორა ებრაელებზე მნიშვნელოვანია. მაგრამ ებრაელები ამ სამყაროში უსასრულოდ არიან და მათი მეშვეობით მეფობს გამ-ნი აქ. ებრაელი ხალხი კი ეს ის ებრაელია, რომელმაც შეიძლება ახლა ოქროს ხბოს ცოდვა ჩაიდინა. რაშია განსხვავება სახელსა და არსს შორის? იმით, რომ მოშე რაბინი თქვა: „ნამ-შალე მე შენი ნიგნიდან“, ებრაელები გახდნენ ფარაშის „თეცავე“, ანუ მოშე რაბინის არსის მიღების ღირსნი მისი სახელის გარეშე.


სანთლები აპარონმა უნდა აანთოს. სანთლები ის ნივთებია, რომელნიც მზად არიან ცეცხლის ასანთებად. მოშე რაბინი არ ანთებს ცეცხლს, მაგრამ მასთან მოაქვთ ზეთი. ის ამზადებს სანთლებს ასანთებად. ამ თავში მოშე რაბინი აპარონს ქოენის სამოსს აცმევს და ამის წყალობით შეუძლია აპარონს მსახურება, მაგრამ ეს კეთდება არა მოშეს სახელით, არამედ მისი არსით. თორა ეს ჰაშემის სახელია, არსი კი - ჰაშემის არსია.

ახლა შეიძლება მივხვდეთ, რატომ უხარია ამანს, როდესაც ნილი ადარის თვეზე შეჩერდა, რომელშიც მოშე რაბინი გარდაიცვალა?

მოშე წესზე „შეიყვარე მოძმე, როგორც საკუთარი თავი“ უფრო მაღლაა. ებრაელთა შორის ხომ ისეთებიც იყვნენ, ვინც ოქროს ვერძი გააკეთეს. ისინი კი არ არიან მოშეს მსგავსნი. მათ კი არ სურთ, ისინი აკეთებენ ავოდა ზარას. საქმე კი იმაშია, რომ ეს ყველაფერი ზედაპირუ-ლადაა, შინაგანად ისინი ყველანი ღვ-თიურნი არიან. და მოშე ყველა თაობებს გადასცემს, რომ აუცილებელია თავის მსხვერპლად შენივთა ყოველი ებრაელის გამო.

რა სურდა ამანს? მას თითქოსდა სწორი მიზეზი აქვს. ამ ხალხმა შესცოდა, გააკეთა ოქროს ვერძი. მათ სძინავთ. ისინი უნდა განადგურდნენ. და ვინაა ამ იდეის მონიშნა-ლ-მდევე? მოშე. ამანმა თქვა, რომ ანონის 10000 ტალანტი ვერცხლს. „ტოსაფოთ“ გემარაში „მეგილა“ გვეუბნება: ამანმა ჩათვალა, რომ 10000 ტალანტი არის 600000 ებრაელის რაოდენობა გამრავლებული ნახევარ შეკელ-ზე. მან იცოდა თორა. და იცოდა, რომ ეს ის თვეა, როდესაც მოშე რაბინი ქოენობის ძალა გადასცა. ეს მოშეს თვეა. მაგრამ ამანმა ერთი რამ არ იცოდა. რას ნიშნავს „მოშე გარდაიცვალა, მოშე დაიბადა“? იმას, რომ მოშე გარდაიცვალა, მაგრამ ყოველ ებრაელში დაიბადა. მორდეხაი მსხვერპლად ენივთა ებრაელი ხალხის გამო. ამიტომაა ქიფური (იომ ქიფური) როგორც „ქეფური“ (ფურიმი). ქიფურშიც ყრთან წილს და თუ რა ებრაელი ხალხი ორ თხას შორის ირკვევა (ერთი თხა მიდის ქი-ფურის სამსხვერპლოზე, მეორე კი - აზაზელთან). ქო-ჰენ გადოლი (მთავარი ქოენი) შედის კოდეშ კადაშიში, ებრაელები კი მთელი დღე ლოცულობენ იმისათვის, რომ ის ცოცხალი გამოვიდეს იქიდან.

იანი ნეთანიაჰუ: მათ სწადიათ მამარეში მთავრობას ჩამოაშორონ!



4 თებერვალს პრემიერ-მინისტრ ბინ-იამინ ნეთანიაჰუს ვაჟმა — იანი ნეთანიაჰუმ გააკეთა განცხადება, რომელშიც თავს დაესხა ისრაელის პრეზიდენტი რე-უვენ რივლინს და შინაგან საქმეთა ყო-ფილ მინისტრს, სამთავრობო პარტია „ლიკუდის“ წევრ გიდეონ საარს:

— ძვირფასო ლიკუდელებო, შეგახსენებთ, რომ მამარეში უკვე გააცხადა, თუ რა გეგმა აქვს რუბი რივლინს, მაგრამ მემარჯვენეთა ბანაკში მამარეშის ნათქვამს სერიოზულად არ მოეკიდნენ. რე-ალობამ დაგვანახა, რომ მამა მართალი იყო. რუბი არჩევნების დამთავრებას ელოდება, რომ მამას უარი უთხრას მთავრობის შედგენაზე. ამას ის იმ შემთხვევაშიც კი გააკეთებს, თუ არჩევნებში „ლიკუდი“ ყველაზე მეტ მანდატს მიიღებს — რუბი რივლინი მთავრობის შედგენას თავის საუკეთესო მეგობარს გიდეონ საარს დაავალებს — ამით იანი ნეთანიაჰუმ გაიმეორა მამამისის მიერ ნინა დლით — 3 თებერვალს გაკეთებული განცხადება — „ლიკუდის“ წინასაარჩევნო არხისთვის მიცემულ ინტერვიუში ნეთანიაჰუმ გიდეონ საარი დაადანაშაულა შეთქმულებაში, რომლის მიზანიც მთავრობიდან ნეთანიაჰუს ჩამოშორება გახლავთ.

— არაფერს არ ვიგონებ: „ლიკუდის“ რამდენიმე წევრმა მითხრა, რომ მათ მიმართა გიდეონ საარმა არჩევნების შემდეგ ნეთანიაჰუს მთავრობის შედგენას არ დაავალებენ — (ნეთანიაჰუს კორუფციამი სდებენ ბრალს — მიმდინარეობს ძიება) და მხარი ჩემს კანდიდატურას დაუჭირეთ. გიდეონ საარმა კი განაცხადა, რომ ნეთანიაჰუ კვლავაც გამოგონილ ბრალდებებს უყენებს და პრემიერ-მინისტრს მოუწოდა დაასახელოს, კონკრეტულად თუ რომელმა ლიკუდელმა უთხრა ასეთი რამ და მისცეს მათთან პირისპირ საუბრის საშუალება, მაგრამ თუ პრემიერი ამას არ გააკეთებს, საარი მოითხოვს ნეთანიაჰუმ უკან წაიღოს თავისი სიტყვები. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, პრეზიდენტს აქვს უფლება მთავრობის შედგენა ნები-სმიერი პარტიის ნებისმიერ პარლამენტარს დაავალოს — არა აქვს მნიშვნელობა, არჩევნებისას რომელმა პარტიამ მეტი მანდატი მიიღო.

ოხამა დილეთანტია, ასადი — ბაღლი, არაფატი — დამნაშავე

საუდის არაბეთის დაზვერვის ყოფილმა მეთაურმა, აშშ-ში ამ ქვეყნის ყოფილმა ელჩმა პრინცმა ბანდარ ბინ სულთანმა თავის ინტერვიუში ისაუბრა ახლო აღმოსავლეთის ბოლო 40 წლის პოლიტიკურ ყოფაზე და ერთობ გააკრიტიკა აშშ ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა — ბარაკ ობამას პოლიტიკამ ახლო აღმოსავლეთი 20 წლით უკან დახიაო. პრინცმა განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკამ სხვა ქვეყნებს სირიის დაქვემდებარების საშუალება მისცა, ხოლო ობამა ერთს ლაპარაკობდა და მეორეს აკეთებდაო.

ამ ინტერვიუში ბაშარ ასადი განვიხილავთ ბაღლად წარ-მოგვიოდება, რომელიც მამის — სირიის ყოფილი პრეზიდენ-ტის ხაფიზ ასადის ჩრდილიდან ვერ გამოვიდა — დასავლეთ-თან ისე ძლიერ იყო დაკავშირებული, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ რუსეთში მიპატიჟებაც არაფრად ჩააგდო, ხოლო სირიაში კონფლიქტის დაწყებისას პუტინს უთქ-ვამს „არაფერია, აი ნახავთ, ახლა ხოხვა-ხოხვით მოვა ჩვენთან“

ბანდერა ამ ინტერვიუში ირანის შაჰის ტახტიდან ჩამოგდე-ბასაც შეხვო:

— ისლამური რევოლუცია სწორედ შაჰის ბრალია — სადამ ჰუსეინი მაგან აიძულა აიათოლა რუხოლუ ჰომეინი, რომელიც სადამ ჰუსეინის შინაპატიმრობაში ჰყავდა, პარიზში გაესახლე-ბინა.

ხოლო რაც შეეხება პალესტინის განთავისუფლების ორგა-ნიზაციის ლიდერს იასირ არაფატს, ბანდარ ბინ სულთანმა ასე დაახასიათა:

— იგი დამნაშავეა — ბილ კლინტონის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმის უარყოფით, საკუთარი ხალხის წინაშე და-ნაშაული ჩაიდინა.

ირანის 27 საუკუნოვანი მბრალის თაობაზე

ისრაელის სახელმწიფოს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან აქვს მეგობრული ურთიერთობა. ქვეყნის ხელისუფლება, დავით ბენ გურიონიდან მოყოლებული დღემდე, გულდაგულ ცდილობდა და ცდილობს კარგი პარტნიორული ურთიერთობა ჰქონოდა სხვადასხვა კონტინენტის სახელმწიფოებთან. ბოლო წლებში ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაფართოვდა, გაძლიერდა — დღეს ისრაელს ინტენსიური სავაჭრო-კულტურული კავშირი აქვს არა მხოლოდ ევროპისა და აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან, ისეთ მუსლიმურ სახელმწიფოებთანაც კი, რომლებიც უახლოეს წარსულში დაპირისპირებული გახლდათ მასთან — თუ მხედველობაში არ მივიღებთ შეიარაღებულ უკანონო სამხედრო დაჯგუფებებს, „ხამასი“, „ჰესბოლას“, მუსლიმი ძმები და სხვ. რომლებიც ირანის დაფინანსებით არსებობენ და რიგმა სახელმწიფოებმა ტერორისტულ ორგანიზაციებადაც კი შერაცხა, ისრაელის დიპლომატიამ თითქმის ყოველ სახელმწიფოსთან გარკვეულ შეთანხმებას მიაღწია.

დღევანდელ მსოფლიოში ერთადერთი ძლიერი სახელმწიფო, თანაც ისრაელთან ტერიტორიულად საკმაოდ ახლო, რომელიც ებრაელთა სახელმწიფოსადმი მტრულ დამოკიდებულებას არ ფარავს, ირანი გახლავთ — მსოფლიოს საინფორმაციო პორტალები ხშირად სავსეა ირანის პოლიტიკურ, თუ სამხედრო მოღვაწეთა ისრაელზე ძალზე მტრული გამოხატულებებით — ისინი ღიად აცხადებენ, რომ სურთ და ამ სურვილს მალე განხორციელებენ კიდევ, სიონისტური სახელმწიფოს სრული განადგურება. ამასწინათ მსოფლიო შეაშფოთა ირანელი გენერლის მოჰამედ რეზა ნაჯდის — განცხადებამ ისრაელს უმოკლეს ვადაში — ჩვენი ძლიერი შეიარაღებით, მისივე გავანადგურებთო.

დღეს ირანი აქტიურად „მიჩოჩავს“ ისრაელის საზღვრებსაკენ. ამისთვის იყენებს ისრაელის მოსაზღვრე სირიაში შექმნილ არასტაბილურ მდგომარეობას — ამ სახელმწიფოში ისრაელის საზღვართან ახლოს შექმნა



სამხედრო ბაზები, რომ „სიონისტური სახელმწიფო“ უფრო ხელმისაწვდომი იყოს და მისი რაკეტები ისრაელის ყოველ ქალაქს სწვდებოდეს. ამით გახლავთ განპირობებული ის, რომ ისრაელი თავს ესხმის სირიაში — მის საზღვართან ახლოს, განლაგებულ ირანის სამხედრო ბაზებს. ზოგჯერ ეს შეტევები იმდენად ეფექტურია, სირიისა და ირანის ერთგული მეგობრისა და ქომაგის — რუსეთის შემფოთებასაც კი იწვევს. თუმცა, ძნელია ცალსახად განაცხადო, რომ დღევანდელი რუსეთი ისრაელისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოა. სრულიადაც არა, სწორედ მისი ძალისხმევით იყო: სირიაში, ისრაელის საზღვართან ახლოს განლაგებულმა ირანის სამხედრო ძალებმა ქვეყნის სიღრმეში გადაინაცვლეს. ეს საკითხი ვ. პუტინისა და ბ.ნეტანიას შორის შედეგად მოგვარდა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რუსეთი თანმიმდევრულად იცავს ასადის რეჟიმს, რომელიც რუსეთს ახლო აღმოსავლეთში ფეხის მოკიდების

საშუალებას აძლევს.

ასე რომ, ირანი ისრაელისადმი ერთობ მტრულად განწყობილი სახელმწიფოა და ამ მტრობას არა მხოლოდ არ ფარავს, იმისათვის რომ თავისი განზრახვის სინამდვილეში მტკიცედ დაგვარწმუნოს და ისრაელის სახელმწიფოში პანიკა დათესოს, აცხადებს უკვე ისეთი სიშორის რაკეტები გვაქვს, ისრაელის ყოველ ქალაქს, ყოველ დასახლებულ პუნქტს ადვილად მივწვდებითო. საოცარია: გაეროს წევრი ერთი სახელმწიფო საქვეყნოდ აცხადებს გაეროს წევრი სახელმწიფო უნდა მოვსპო, გავანადგუროო და მსოფლიო ამას ისმენს.

ისმენს და მეტი არაფერი! ისრაელისადმი ესოდენ მტრული დამოკიდებულების ფონზე როგორია ირანში მცხოვრები ებრაელების მდგომარეობა — ირანში როგორ გრძნობენ თავს ებრაელები?

თუ ამ შეკითხვას მოკლედ, ორიოდ სიტყვით გავცემთ პასუხს, შეიძლება ითქვას: კარგად, უსაფრთხოდ.

მაგრამ უფრო დანვირთებით ამ კითხვაზე საინტერესო ცნობებს ვიპოვით ამერიკის ებრაული გაზეთის „ფორვარდის“ ყოფილი თანამშრომლის ლარი კოლერ-ესესას სტატიაში, რომელიც „ებრაულმა სატელეგრაფო სააგენტომ“ გაასაჯაროვა.

„მ ახალი ამბების საათი“ გვარწმუნებს: „ტრამპის ადმინისტრაციის და მისი მოკავშირე ისრაელი ირანის ხელისუფლებას ისე გვიხატავს, თითქოს ყოველი მათგანი რადიკალური ანტისემიტი ისლამისტი იყოს და მათ ისრაელის განადგურება ეწადოთ, მაგრამ ირანში მცხოვრები დაახლოებით 15 ათასი ებრაელის მეტი ნილი ამბობს, რომ ისინი ცხოვრობენ უსაფრთხოდ და მედნიერნი არიან.“

ჭეშმარიტებას ღაღადებენ ისინიც, ვინც მიჩნევენ, რომ ირანს ისრაელის განადგურება სწადია და ისინიც, ვინც გვაუწყებს, ირანში უსაფრთხოდ და ბედნიერად ვცხოვრობთო. ირანში ბევრი ებრაელი იმდენად უსაფრთხოდ და ბედნიერად ცხოვრობს, არ უჩნდებათ სურვილი თავიანთი მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ და სხვა ქვეყანას მიაშურონ. ამავე დროს ირანი ის ქვეყანაა, რომლის კოალიციური მთავრობის გავლენიანი ძალები რადიკალური ისლამისტები გახლავან — ისრაფვიან ყველაფერი მოიშორებოდნენ იმისათვის, რომ ისრაელი, როგორც ებრაელთა სახელმწიფო, ლიკვიდირებული იქნას.

დღეს თეირანის ებრაულ თემს ძალუძს თავს ინონებდეს ამ ქალაქში განლაგებული ცამეტი მოქმედი ბეით ქნესეთით, ხუთი კერძო ებრაული სკოლით, რამდენიმე ქაშერი რესტორნით და საქველმოქმედო საავადმყოფოთი, რომელიც კარგა ხნის წინათ ებრაელებმა დაარსეს და დღესაც მათ ეკუთვნით. ამის პარალელურად ირანის უმაღლესმა ლიდერმა გამოაქვეყნა სია „ისრაელის განადგურების ცხრა საკვანძო საკითხი“ და ამ „საკვანძო საკითხებში“ მთავარი ადგილი შეიარაღებულ ძალებს უჭირავთ. საამისოდ ირანის რევოლუციის გუშაგთა ელიტური შეიარაღებული ძალები „კუდსი“ ცდილობს გამოიყენოს სამხედრო პოზიციები სირიაში, სადაც მათ ჰყავთ ათასობით სამხედრო მოსამსახურე და ქმნიან



ბეით ქნესეთი თეირანში

საავიაციო ბაზას, რომელიც ისრაელზე თავდასხმისათვის სასტარტო მოედანი უნდა გახდეს. ირანმა ლიბანში დააფინანსა „ჰეზბოლას“ რაკეტებით აღჭურვა. ამ რაკეტებით სურთ მიაღწიონ ისრაელის დიდ ქალაქებამდე. ირანი კვლავაც განაგრძობს ძალისხმევას ბალისტიკური რაკეტების გასაუმჯობესებლად, რათა ისრაელის სამიზნეებს დაარტყას.

როგორც უკვე ითქვა, ირანში ცხოვრობს ერთ-ერთი უძველესი ებრაული თემი, მისი მონაცემებით ცხრა ათასი ებრაელი, რომელიც „შორს არის საერთაშორისო სიონიზმის ავთვისებიანი ძალებისაგან“. ამ გარემოებას ირანი პროპაგანდისტული მიზნით კარგად იყენებს, თუმცა, ებრაულ უმცირესობასთან პროპაგანდისტული ლაციცი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას არ სურს ისრაელის — ებრაელთა სახელმწიფოს განადგურება, მაგრამ სიფრთხილეს იჩენს.

ირანის ებრაული თემი ერთობ გაბედულ თემად მიიჩნევა და ზოგ შემთხვევაში არ ეუბნება ხელისუფლების დისკრიმინაციულ წესებს. ირანში ებრაელებსა და სხვა რელიგიის წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება დაიკავონ სახელმწიფო მნიშვნელობის პოსტები, თუმცა, დისკრიმინაცია უფრო შორს მიდის: შარიათის კოდექსის მიხედვით ერთი და იგივე დანაშაულზე ერთია სასჯელი მუსლიმისათვის და სულ სხვაგვარად ისჯება არამუსლიმი: იუდეველი, ქრისტიანი, თუ სხვ. თუ ებრაელი მოკლავს მუსლიმს, იგი უსათუოდ სიკვდილით დაისჯება, მაგრამ თუ მუსლიმი მოკლავს ებრაელს, შესაძლოა დანაშაული გამოისყიდოს. მთავრობა იმასაც მოითხოვს, რომ თეირანის ხუთივე ებრაული სკოლის დირექტორი მუსლიმი იყოს, ებრაული თემის ხელმძღვანელი ამ მოთხოვნას არ ეთანხმება. და აკრიტიკებს.

როცა პრეზიდენტმა მოჰამედ აჰმადინეჯათმა ექვცემ დააყენა ჰოლოკოსტის რეალობა, სახელმწიფოს ებრაელობა მკაცრად აკრიტიკებდა, ხოლო მორის მოტამედმა, რომელიც პარლამენტში ებრაელობის წარმომადგენელი გახლდათ, რადიო „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ ირანული რედაქციების წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

— ებრაელობასთან დაკავშირებული დიდი ისტორიული ტრადიციის უარყოფა, შეურაცხმყოფელია მთელი ებრაელობისა.

ამ ისლამურ სახელმწიფოში ებრაელები ქრისტიანებთან და ზოროასტრებთან ერთად მიჩნეული გახლავან „ნიგნის ხალხად“ და მისაღებ უმცირესობად. ირანში ებრაელობის ფიზიკურ უსაფრთხოებას იცავს რელიგიური ფეტვა (განკარგულება), რომელიც ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებელმა აიათოლა რუხოლოი ჰომეინიმ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე გამოსცა (1979წ). მთლიანობაში კი იურიდიული და სოციალური დისკრიმინაცია, რომელსაც ამ ქვეყანაში ებრაელები (ამათთან ერთად ქრისტიანები და ზოროასტრიელები) განიცდიან, მათ მეორე ხარისხის კარგად დაცულ მოქალაქეებად აქცევს.

1979 წლის რევოლუციამდე ირანში 80—100 ათასამდე ებრაელი ცხოვრობდა, დღეს თემის გაანგარიშებით ცხრა ათასია. რევოლუციის შემდეგ ძალიან ბევრი ებრაელი გაეცალა ამ ქვეყანას.

ებრაული ეროვნების ცნობილი ირანელი ადვოკატი, რომელიც დღეს ლონდონში ცხოვრობს, ესთერისა და მორდებხის ამბავს იგონებს ამბობს:

— ჩვენ 2700 წელი ვიცხოვრეთ ირანში, როცა რაიმე პრობლემა გვექმნებოდა, ვახერხებდით ხელისუფლებასთან ნორმალური ურთიერთობა შეგვეწარმოებინა და მონარქთა ბრძანებებისათვისაც გვერდი აგვეკლო.



განცხადება:
ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი აცხადებს ახლაგაზრდების მიღებას
ვოკალურ სტუდიაში „შირი.“ მოსმენა ყოველ ხუთშაბათს
14:00-დან 16:00-მდე
კვირას — 13:00-დან 14:00-მდე
საკონტაქტო ტელეფონები:
592187193, 597031730